



გიწვევთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „ინფორმაციული სისტემები“

პროგრამის მიზანია:

1. კურსდამთავრებულს შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული სისტემების მუდმივად განვითარებად სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა შემდგომი პროფესიული საქმიანობისა და კვლევითი აქტივობის წარმატებული განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე, აგრეთვე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე; 2. ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას, ინფორმაციული სისტემების დანერგვას ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში.

სწავლის გაგრძელება: ინფორმაციული სისტემების მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მონათესავე მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

სწავლის საფასური: 2250 ლარი საქართველოს მოქალაქეებისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის ნებისმიერი ხარისხი, 10 ECTS კრედიტი უმაღლესი მათემატიკის დისციპლინებში.

პროგრამის ხელმძღვანელები და მისი განხორციელების ადგილი: პროფ. გია სირბილაძე და ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი. თსუ XI კორპუსი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და აუდიტორიები.

სასწავლო გეგმა: სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი; კრედიტების რაოდენობა: 120, მათ შორის – სავალდებულო საგნები 35 კრედიტი; კონცენტრაციის სავალდებულო საგნები 30 კრედიტი (A ან B კონცენტრაცია); არჩევითი საგნები 25 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი (IV სემესტრი).

სასწავლო კურსები (I-II სემესტრები, ძირითადი და არჩევითი საგნები): ინფორმაციული მოდელები და სისტემები; მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები; დაპროგრამების ტექნოლოგიები; ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი; ინფორმაციული სისტემების ანალიზი; ინფორმაციული სისტემების დიზაინი; კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.

III სემესტრში მაგისტრანტი ირჩევს შემდეგი ორიდან ერთ კონცენტრაციას:

კონცენტრაცია A-ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციული სისტემების მიმართულებით (სასწავლო კურსები): ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები; პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა; პროექტების მენეჯმენტი; ადამიანი-კომპიუტერი ურთიერთქმედებები; ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები.

კონცენტრაცია B - ინტელექტუალური სისტემები ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევებზე თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების მიმართულებით (სასწავლო კურსები): ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში; გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები; აგენტების თეორია გადაწყვეტილებების მიღების სისტემებში; გამოთვლითი ინტელექტის სისტემები (გენეტიკური დაპროგრამება, ხელოვნური ნეირონული ქსელები, ფაზი-სისტემები, მანქანური სწავლება); დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

Phone: 599-588-658

Phone: 598-150-057

E-mail: gja.sirbiladze@tsu.ge

E-mail: bidzina.midodashvili@tsu.ge